საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114-116-ში, მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“.

შპს „დომუსი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის ნოემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114-116-ში, მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114-116-ში, მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეოინჟკომპლექსი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ალ. პასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში არის შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა ---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის თვისებებზე ---------- 2 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით---- 4 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 3 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 10-12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფის ორი სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, ასევე გაყვანილი იქნა ერთი შურფი, სიღრმით 1 მეტრი, მეზობელი სახლის საძირკვლის გასაშიშვლებლად. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 77 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, ნახევრადმყარი, ძნელადპლასტიკური კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით, 10-15%-მდე;
3. ფენა 3 – თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით, 10-15%-მდე;
4. ფენა 4 – ტბიური ნალექები – უმეტესად თიხები, თიხნარისა და ქვიშნარის თხელი შუაშრეებით.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოედნის სულ ზედა ფენა ნაყარით არის წარმოდგენილი, იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა თიხნარებია, ისინი ბუნებრივ პირობებში იმყოფებიან ნახევრადმყარ და ძნელადპლასტიკურ მდგომარეობაში. მათი სიმძლავრე დიდია და იცვლება 9.5-10.5 მეტრის ფარგლებში. თიხნარები იცვლება ტბიური ნალექებით, უპირატესად თიხებით, თიხნარისა და ქვიშნარის თხელი შუაშრეებით – ნახევრადმყარი კონსისტენციის. ძირითადი ქანები არ დასინჯულა, ვინაიდან ისინი საკმაოდ ღრმად არიან და გაყვანილი ჭაბურღილები ამ ფენამდე ვერ დავიდნენ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და ისეთი პროცესების განვითარება, რომელიც ხელს შეუშლის მომავალი შენობის მდგრადობას, არაა მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 3.8-5.5 მ. სიღრმეზე. დამყარებული დონე 3.6-4.6 მ. წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114-116-ში, მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/